

საჯარო დაწესებულების მიერ გარემოსდაცვით საკითხებთან
დაკავშირებული ინფორმაციის გაცემა და ქართული კანონმდებლობის
ანალიზი ორჰუსის კონვენციასთან მიმართებაში

მარიამ კიკნაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიულ ფაკულტეტზე საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ კორძია, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ კვიციანიძე

01 ივლისი, 2019 წელი

აბსტრაქტი

ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება 21-ე საუკუნის უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. საქართველო, ისევე როგორც მსოფლიოს არაერთი ქვეყანა, მწვავედ დგას ამ პრობლემების წინაშე.

გარემოს შესახებ ინფორმაციის მიღების უფლების რეალიზება და საზოგადოების მაღალი ჩართულობა გარემოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ეკოლოგიურ პრობლემებთან ბრძოლაში უმნიშვნელოვანესია. თუ საზოგადოებას არ მივცემთ საშუალებას იცოდეს ყველაფერი სრულად, დეტალურად და ობიექტურად რაც მის გარემოში ხდება, თუ მას არ მივცემთ ინფორმაციას მის საცხოვრებელ გარემოზე, ეს ერთი მხრივ, შეასუსტებს მის სურვილს წვილი შეიტანოს გარემოს დაცვაში და მეორე მხრივ, ზრდის რისკს, იმისას, რომ სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს გარემოზე იმგვარი ზემოქმედება, რომელიც შეუსაბამობაშია კანონმდებლობით დადგენილ რეგულაციებთან და ზოგადად, გარემოს დაცვასთან.

სწორედ ამიტომ, გადავწყვიტე ნაშრომი დამეწერა ისეთ საკითხზე, როგორცაა საზოგადოების თითოეული წევრის უფლება მიიღოს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია შესაბამისი დაწესებულებებისაგან.

ნაშრომის მიზანია ორჰუსის კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებისა (კონვენციის სამი უმნიშვნელოვანესი პრინციპის) და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი საჯარო დაწესებულებათა მიერ გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში.

ნაშრომში განვიხილავთ საქართველოს კანონმდებლობა რა ვალდებულებებს აკისრებს საჯარო დაწესებულებებს გარემოსდაცვით ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით და ვიმსჯელებთ რამდენად მყარი სამართლებრივი საფუძველია შექმნილი, იმისათვის, რომ დაინტერესებულმა პირებმა სრულად და დროულად მიიღონ მათ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია.

ABSTRACT

Environment protection is a hot issue in XXI c. Similarly to the rest of the world, Georgia faces serious ecological problems.

High awareness of the environmental issues and involvement in their solution is crucial. Unless the public has the right to get full and unbiased information on the status of the environment in broad terms or the immediate habitat, the people are likely to be less motivated to contribute to the environment protection, and there is a risk that the government agencies disregard the environment legislation and make an adverse affect on it.

That is what prompted me to write a study on the right of each member of the public get the information on the environmental issues from the relevant authorities. The objective of the study is a comparative analysis of Georgia's obligations under the Orhus Convention (the three guidelines) and the Georgian legislation in terms of the information supply by the government agencies.

We intend to discuss the obligations the government agencies in Georgia bear in terms of the public access to the information, and if the relevant legal framework envisages due supply of the information.